ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723032001**

თარიღი:**01/02/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ნ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ თანახმად დანართისა.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 06 აპრილის N№ბ37.37220961 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი